დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30

2022 წლის 8 დეკემბერი

ქ. დმანისი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 23/01/2018; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.156.016301) დანართი №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი

დანართი №1

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	5460	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4125	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3920	2
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2910	5
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2910	
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2140	

პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსი	I	2910	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვასა და საქმისწარმოების საკითხებში	III	1580	1
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	1580	1
4	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში	III	1460	1